

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დამოუკიდებელი წევრის, ქალაქ
ოზურგეთის #60,01,02 მაჟორიტარული ოლქიდან, ლევან მგელაძის
2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ**

ანგარიში

ჩემი წინასაარჩევნო კამპანიის სლოგანი - „ღირსეული და სამართლიანი ცხოვრებისათვის“ აქტუალურია ჩემი საკრებულოში მოღვაწეობის პერიოდშიც და ყოველთვის დავიცავ ამ ღირებულებებს.

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა და საკრებულოს რეგლამენტიტ მძევს ვალდებულება, წარმოგიდგინოთ ანგარიში 2017 წლის ნოემბრიდან 2018 წლის დეკემბრის ჩათვლით, გაწეული საქმიანობის შესახებ.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და საკრებულოს რეგლამენტიტ განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად ვარ ფრაქცია „ოზურგეთს მომავლისათვის“ თავმჯდომარე, საანგარიშო პერიოდში ვიყავი და ვარ საკრებულოს „სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის“, „აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების“ კომისიის წევრი, ჰერალდიკის დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი.

საანგარიშო პერიოდში დავესწარი 19 საკრებულოს, 21 ბიუროს, 38 კომისიისა და 2 დროებით სამუშაო ჯგუფის სხდომებს. ჩავატარე ფრაქციის 18 სხდომა, რომლებიც დაფიქსირებულია ოქმების სახით. ვატარებდი რეგლამენტიტ გათვალისწინებულ გეგმიურ და დაუგეგმავ შეხვედრებს მოსახლეობასთან. 12-ჯერ დავესწარი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ტრენინგ-სემინარებს და ამა თუ იმ საკითხის საჯარო განხილვებს.. აქტიურად ვმონაწილეობდი იმფრა-სტრუქტურული პროექტების დაგეგმასა და კომპეტენციის ფარგლებში ზედამხედველობას ვუწევდი შესრულებულ სამუშაოებს. ასევე ვმონაწილეობდი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაგეგმასა და მონიტორინგში, რეგლამენტის მიხედვით გავეცანი, განვიხილე და შესაბამისი პასუხი გავეცი ყველა განკარგულებისა და დადგენილების პროექტებს. სხვადასხვა საკითხის საფუძვლიანი შესწავლის მიზნით მერიიდან გამოთხოვილი მძევს დოკუმენტები.

საკრებულოში ჩემი მოღვაწეობის პრიორიტეტი არის მოსახლეობის ჩართულობა მუნიციპალიტეტის საქმიანობაში, მათი პრობლემების გამოვლენა და შესწავლა, ამ პრობლემების მოგვარების გზების გამონახვა. მაქსიმალურად ვცდილობ დავეხმარო მოქალაქეებს სოციალურ-ეკონომიკური, ყოფითი და სტიქიით მიყენებული ზარალის ანაზღაურებაში. სიამაყით შემიძლია ვთქვა, რომ საკრებულოში პირველი ელექტრონული პეტიცია ჩემი საარჩევნო ოლქიდან დარეგისტრირდა. მოქალაქეების ჩართულობით დაიგეგმა, შედგა პროექტი და განხორციელდა ან განხორციელდება; საგზაო იმფრასტრუქტურის, მრავალბინიანი კორპუსების ეზოების ფასადებისა და სახურავების რიაბილიტაცია, სხვა და სხვა უბნებში დასასვენებელი კუთხეების მოწყობა,

საზოგადოებრივი სივრცეების (სკვერების და პარკების) სპორტული მოედნების რეაბილიტაცია, ცალკე მინდა გამოვყო, ეგროფიცი, ეგროფიცი, ლამეს უბნის საფეხბურთო მოედნის პრობლემა, საკრებულოს წევრ ბახვა დოლიძესთან ერთად შევისწავლეთ ბავშვთა საფეხბურთო სკოლის მასწავლებლების (მწვრთნელების) და მშობლების კოლექტიური განცხადება და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან ერთად შედგა სტადიონის რეაბილიტაციის პროექტი, მოეწყო გასახდელები. საშხაპეები და შესაბამისი იმფრასტრუქტურა.

გასულ წლებში, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრობის პერიოდში, აქტიურად ვმუშაობდი ეკოლოგიურ საკითხებზე, კერძოდ, მუნიციპალიტეტის საზღვრებში ინერტული მასალის ქვიშა-ხრემის მოპოვებასთან დაკავშირებით. საანგარიშო პერიოდში ვაგრძელებდი და კვლავ ვავაგრძელებ ამ პრობლემის შესწავლას და პრობლემის გადაწყვეტის გზების ძიებას. ვითანამშრომლე ლიხაურის მოსახლეობასთან, მონაწილეობას ვღებულობდი საინიციატივო ჯგუფის მიერ საპროტესტო და საიმფორმაციო შეხვედრებში, ვთვლი, რომ მეც შევიტანე წვლილი აჭისწყლის ხეობის გადარჩენაში. ნამდვილად არ ვარ წინააღმდეგი წიაღისეულის მოპოვებისა და გადამუშავების, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს განუკითხავად, ბარბაროსულად და რეგიონის ეკოლოგიის დაზიანების ხარჯზე. მოვუწოდებ საკრებულოს წევრებს, განსაკუთრებით იმ სოფლის დეპუტატებსა და მოსახლეობას, სადაც ხდება ინერტული მასალების მოპოვებ უფრო აქტიურად ვიმოქმედოთ და მოვავგაროთ ზემოთ აღნიშნული პრობლემა.

საანგარიშო პერიოდში ვმონაწილეობდი რეგიონში და ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების საკითხებზე გამართულ სხვა და სხვა ღონისძიებებში. ბიუჯეტის შედგენისას ვთანამშრომლობდი მერიის შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელებთან, რათა სრულად ასახულიყო დაგეგმილი ღონისძიებების დაფინანსება. ტურიზმისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მიზნით თანამოქალაქეებთან ერთად, მონაწილეობა მივიღე ევრო კავშირის მიერ მოწყობილ ველო ტურში „ველო ტურიზმი გურიაში“.

ასევე საანგარიშო პერიოდში აქტიურად ვთანამშრომლობდი არასამთავრობო ორგანიზაციებთან თვითმართველობის საკითხებთან დაკავშირებით, ვესწრებოდი სემინარებს. სხვა და სხვა პროექტების პრეზენტაციებს და კვლევების განხილვას თვითმართველობის შესახებ. მიმაჩნია, რეგიონის და ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის აუცილებელია რეალური დეცენტრალიზაცია და ვავაგრძელებ მუშაობას თვითმართველობის განვითარებისათვის. ჩემი სურვილია ქალაქ ოზურგეთს კვლავ მიენიჭოს თვით მართველი ქალაქის სტატუსი და მოქალაქეებმა კვლავ ისარგებლონ იმ სიკეთეებით რაც არსებობდა ქალაქის თვითმართველობის პერიოდში.

ჩემს ანგარიშში აუცილებლად მინდა შევეხო საანგარიშო პერიოდში ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებს. ის, რომ არ გახლავართ არცერთი პარტიის წევრი, მქონდა ერთგვარი უპირატესობა, ობიექტურად მედევნებინა თვალი საარჩევნო პროცესისათვის, ვისურვებდი, ასეთი არჩევნები არასდროს ჩატარებულიყოს საქართველოში. ეს იყო უკან გადადგმული ნაბიჯი დემოკრატიის თვალსაზრისით.

და ბოლოს, მადლობა მინდა გადავუხადო საკრებულოს აპარატს, საკრებულოს წევრობის უფლებამოსილების განხორციელებაში დახმარებისათვის.

იმედს ვიტოვებ, მომავალი საანგარიშო პერიოდის ანგარიში იქნება უფრო ვრცელი გაკეთებული საქმიანობის თვალსაზრისით და ჩვენს მოქალაქეებს ექნებათ ღირსეული და სამართლიანი ცხოვრება.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრი

ლევან მგელაძე

08.02.2019 წ.